საქართველოს მთავრობის
განკარგულება
N1817 2014 წლის 2 ოქტომბერი ქ. თბილისი

ყირიმ -კონგოს ჰემორაგიული ცხელების ეპიდაფეთქების მართვისა და პრევენციის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ

1. ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ეპიდაფეთქების მართვისა და პრევენციის მიზნით, განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს:

ა.ა) 2014 წლის 30 ნოემბრამდე ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ეპიდაფეთქების მართვაში სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებისა და სხვა შესაბამისი დაწესებულებების ჩართულობა და კოორდინაცია, მათ შორის:

ა.ა.ა) საქართველოს მთავრობის ინფორმირება ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების მიმდინარე ეპიდაფეთქების, ასევე, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის და ეპიდაფეთქების მართვისათვის საჭირო რესურსების შესახებ;

ა.ა.ბ) არსებული მდგომარეობის შესახებ სხვა შესაბამისი სამინისტროების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სკოლების, სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება;

ა.ა.გ) ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ეპიდაფეთქების მართვაში დახმარებისათვის საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, პარტნიორებისგან მხარდაჭერის მოპოვება;

ა.ბ) 2014-2015 წლებში ყირიმ-კონგოს ჰემორაგიულ ცხელებასა და ზოგადად, ჰემორაგიულ ცხელებაზე ეპიდზედამხედველობის გაძლიერება, კერძოდ:

ა.ბ.ა) გაგრძელდეს ეპიდზედამხედველობა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიულ ცხელებაზე, საეჭვო შემთხვევების კვლევა მოხდეს შემთხვევების განსაზღვრების და კვლევის პროტოკოლის შესაბამისად;

ა.ბ.ბ) გაგრძელდეს საეჭვო შემთხვევების ლაბორატორიული ტესტირება;

ა.ბ.გ) გაგრძელდეს რუტინული ეპიდზედამხედველობა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების ეპიდაფეთქების დამთავრების შემდეგაც;

ა.ბ.დ) აქცენტები გაკეთდეს სხვა ჰემორაგიული ცხელების იდენტიფიკაციასა და ლაბორატორიულ ტესტირებაზე;

ა.გ) 2014 წლის 30 დეკემბრამდე ჰემორაგიული ცხელების (მათ შორის, ყირიმ-კონგოს) შემთხვევების მართვა, მათ შორის:

ა.გ.ა) ჰემორაგიული ცხელების (მათ შორის, ყირიმ-კონგოს) შემთხვევათა მართვის პროტოკოლის შემუშავება;

ა.გ.ბ) სამედიცინო დაწესებულებების მზაობა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების შემთხვევების მატებისას, ჰოსპიტალით უზრუნველყოფისათვის;

ა.გ.გ) შემთხვევათა სწორი რეფერალის უზრუნველყოფა;

ა.დ) 2014-2015 წლებში ეპიდაფეთქების მონაცემების ანალიზი, მათ შორის:

ა.დ.ა) შეტყობინების მიღებისთანავე ინფორმაციის შეტანა დაავადებებზე ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეის);

ა.დ.ბ) მონაცემთა შეყვანის თანმიმდევრულად ზოგადი ეპიდემიოლოგიური ანალიზის, ხოლო, დასრულების შემდეგ, დეტალური ანალიზის ჩატარება და ეპიდაფეთქების შეფასება უკვე არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ეპიდემიოლოგიის და ვირუსის იდენტიფიცირების გაკვეთილების გათვალისწინებით;

ბ) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს დაავადების გავრცელების აღკვეთის მიზნით, 2014-2015 წლებში ზოგად პოპულაციაში ადამიანების, დაავადების რეზერვუარების (შინაური ცხოველები) და გადამტანების (ვექტორების) მიმართ სანიტარიულ–ჰიგიენური ღონისძიებების გატარება (ტკიპიდან ადამიანზე ინფექციის გადაცემის რისკის შემცირებით; ცხოველიდან ადამიანზე ინფექციის გადაცემის რისკის შემცირებით), მათ შორის:

ბ.ა) დაზარალებულ რაიონებში შინაური ცხოველების აკარიციდებით, ხოლო, მათი სადგომების ინსექტიციდებით (გაზაფხულსა და ზაფხულში) დამუშავება;

ბ.ბ) შინაური ცხოველების საძოვრების ტერიტორიის ინსექტიციდებით დამუშავება.

2. ეთხოვოთ ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურების მეშვეობით, გააძლიერონ ეპიდზედამხედველობა ყირიმ-კონგოს ჰემორაგიულ ცხელებაზე.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყონ, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეთხოვოთ, თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში, უზრუნველყონ მოსახლეობაში საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმოება ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელების საწინააღმდეგო პრევენციული ზომების შესახებ, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დარგობრივმა სამინისტროებმა, თავიანთი კომპეტენციების შესაბამისად, უზრუნველყონ აღნიშნული საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიის წარმოებაში აქტიური ჩართულობა და მისი განხორციელების ხელშეწყობა.

4. სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებების მიერ ამ განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს ამ დაწესებულებებისათვის შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

5. ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ღონისძიებების გეგმების დაფინანსება უნდა განხორციელდეს შესაბამისი წლის ბიუჯეტების ფარგლებში, საკუთარი შემოსავლების არსებული პროგნოზების გათვალისწინებით.

პრემიერ-მინისტრი *ირაკლი ღარიბაშვილი*